

გზავნილის დამისამართების ინსტრუქცია

გზავნილის სრულყოფილად დამისამართება უზრუნველყოფს მის დროულ და უსაფრთხო მიწოდებას როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

როგორ დავამისამართოთ გზავნილი?

სრულყოფილი დამისამართებისთვის უმნიშვნელოვანესია გზავნილი შეიფუთოს იმგვარად, რომ მისი ზედაპირი იძლეოდეს მასზე ინფორმაციის მდგრადად დატანის შესაძლებლობას და ის არ იყოს დაფარული.
გზავნილის შეფუთვის წესები და პირობები იხილეთ [ბმულზე.]

დამისამართებისას გაითვალისწინეთ, რომ გამგზავნის მისამართი იწერება საფოსტო გზავნილის სამისამართო მხარის ზედა მარცხენა კუთხეში, ხოლო ადრესატის მისამართი იწერება საფოსტო გზავნილის სამისამართო მხარის ქვედა მარჯვენა კუთხეში.

ადრესატის მონაცემებთან ერთად, აუცილებელია გამგზავნის მონაცემების სწორად და სრულყოფილად მითითებაც, რადგან გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ის დაუბრკოლებლად დაუბრუნდეს გამგზავნს.

საქართველოს ფარგლებში გასაგზავნი საფოსტო გზავნილების დამისამართება ხდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე შესაძლებელია აფხაზურ ენაზეც, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გასაგზავნ გზავნილებზე დამისამართება ხდება ლათინური ანბანის ასოებით და არაბული ციფრებით.

დამისამართებისას დაიცავით შემდეგი თანმიმდევრობა:

❖ თავდაპირველად მიუთითეთ გამგზავნის/ადრესატის ვინაობა.

გაითვალისწინეთ:

- იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი/ადრესატი ფიზიკური პირია - სახელი და გვარი უნდა მიეთითოს ყოველგვარი შემოკლებისა და კნინობითი ფორმის გარეშე, ზუსტად ისე, როგორც მის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტშია აღნიშნული;
- იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი/ადრესატი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნია, უნდა მიეთითოს მისი ოფიციალური დასახელება;
- იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი/ადრესატი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნის თანამშრომელია - თავდაპირველად უნდა მიეთითოს ასეთი წარმონაქმნის დასახელება, შემდეგ თანამდებობა რომელსაც იკავებს გამგზავნი/ადრესატი, შემდეგ კი სახელი და გვარი.

❖ გამგზავნის/ადრესატის ვინაობის შემდეგ მიუთითეთ მისამართი.

- **ადგილობრივი გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში, მისამართის შემადგენელი კომპონენტები იწერება შემდეგი თანმიმდევრობით:**
  - თავდაპირველად მიუთითეთ ქუჩის დასახელება, მიკრო რაიონი, მასივი, პლატო და ა.შ. შემდეგ სადარბაზოს, სართულისა და ბინის ნომერი;
  - შემდეგ ხაზზე მიუთითეთ საფოსტო **ინდექსი**[1] და მასთან ერთად ქალაქი, სოფელი ან დაბა, სადაც იგზავნება გზავნილი.

ადგილობრივი გზავნილის დამისამართების მაგალითი:

გამგზავნი

ანა კანდელაკი
ვარკეთილი 3, მე-3[ა] მ/რ, კორპუსი 327,
მე-2 სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა 52.
0163, თბილისი

შპს საქართველოს ფოსტა
ხარისხის მართვის დეპარტამენტი
სახელი, გვარი
სადგურის მოედანი #2
0102, თბილისი

მიმღები

[1] საქართველოში მოქმედი საფოსტო ინდექსის მოძიება შესაძლებელია ჩვენს ვებ გვერდზე. გთხოვთ გაითვალისწინოთ:

- თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის გარდა სხვა ქალაქების მისამართების საფოსტო ინდექსის ძიებისას მიუთითეთ მხოლოდ ქალაქის სახელწოდება; (მაგ: რუსთავი)
- საძიებო ველში მიუთითეთ მინიმუმ 3 ასობგერა

- **საერთაშორისო გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში, მისამართის დაწერისას იხელმძღვანელეთ მიმღებ ქვეყანაში დადგენილი სტანდარტით.**

გაითვალისწინეთ, რომ ყველა ქვეყანა თავად ადგენს მისამართის შემადგენელი კომპონენტების წერის თანმიმდევრობას, შესაბამისად ისინი შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით.

დანართის სახით გიზიარებთ ზოგიერთი ქვეყნის ადრესაციის სტანდარტის მაგალითებს.

სხვა ქვეყნების მაგალითების გაცნობა შესაძლებელია მათი საფოსტო ადმინისტრაციების ვებ გვერდებზე.

სასარგებლო რჩევები რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ გზავნილის დამისამართებისას.

1) **ყველა სამისამართო მონაცემი საფოსტო გზავნილზე უნდა დაიწეროს მკაფიოდ და გარკვევით. მისამართის დაწერისას გამოიყენეთ მუქი ფერის მელანი** (მაგ. შავი ან მუქი ლურიჯი)
2) **გამგზავნის/ადრესატის ვინაობის მითითებისას არ გამოიყენოთ კნინობითი და/ან შემოკლებითი ფორმა.** (მაგ. ეთერი - ეთუნა; ეკატერინე-ეკა);
3) **ადგილობრივი გზავნილის გაგზავნისას, მაქსიმალურად დააკონკრეტეთ მისამართი, რათა საჭიროების შემთხვევაში, კურიერმა დაუბრკოლებლად შეძლოს მისამართის იდენტიფიცირება.** (მაგ. მიუთითეთ სადარბაზოს ნომერი, სართული, ინიციალი ან სხვა ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი);
4) **აუცილებლად მიუთითეთ ინდექსი. იგი უზრუნველყოფს თქვენი გზავნილის დროულ დამუშავებას.**

დანართი

საერთაშორისო გზავნილების დამისამართების ნიმუშები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით

ავსტრალია

ადმინისტრაციული ერთეულის აბრევიატურა იწერება ქალაქსა და საფოსტო ინდექს შორის.

Mr J Brownhall
264 High Street
ALLAMBIE NSW 2100
AUSTRALIA

ავსტრია

Herr Franz Huber
Beethovenstrasse 12
1010 WIEN
AUSTRIA

ამერიკის შეერთებული შტატები

Mr Joe Engle
1612 Dexter Street
FORT WAYNE IN 46805
UNITED STATES OF AMERICA

Mr Bill Harrison
347 L'Enfant Plaza SW
WASHINGTON DC 20260-6500
USA

ახალი ზელანდია

Mr B Parker
64 Waterloo Quay
WELLINGTON 1
NEW ZEALAND

ბელიგია

Mr Willy Janssens
Lange Stationsstraat 352
3000 LEUVEN
BELGIUM

M. Emile Dubois
Rue du Diamant 215
4800 VERVIERS
BELGIUM

ბრაზილია

Sr. Ronaldo Ganclaves
Av Paulista 952, Apto 16
B VISTA
01311-300 Sâo Paulo - SP
BRAZIL

ბულგარეთი

Dr Tzantcho Gantchev
Dimo Hadjikimov 6
1606 SOFIA
BULGARIA

გერმანია

გერმანიის მიმართულებით გზავნილების გაგზავნისას, რეკომენდებულია შემდეგი წესების დაცვა:

- გამოიყენეთ ახალი, ხუთნიშნა ინდექსი, ოთხნიშნა ინდექსის გამოყენება გამოიწვევს გზავნილის მიწოდების შეფერხებას.
- ინდექსი მიუთითეთ დასახლებული პუნქტის წინ.
- სახლის ნომერი მიუთითეთ ქუჩის სახელწოდების შემდეგ.

Mrs F Meier
Weberstr. 2
53113 BONN 1
GERMANY

Mr P Kunde
Lange Str. 12
04103 LEIPZIG
GERMANY

დანია

Mr Thor Nielsen
Tietgensgade 137
8800 VIBORG
DENMARK

Mr Torben Raldorf
PO Box 100
COPENHAGEN
1004 VIBORG
DENMARK

ესპანეთი

ქალაქის/სოფლის მითითების შემდეგ ფრჩხილებში იწერება პროვინციის დასახელება.

Sra Ana Jimenez
Mimbreras 4
03201 ELCHE (Alicante)
SPAIN

თურქეთი

Mr Mazhar Alkan
Iskele Caddesi 35
06101 ANKARA
TURKEY

იაპონია

Mr Yushi Morimoto
504 Kasumigaseki 1 chome
Chiyoda-ku
TOKYO
100 JAPAN

ირლანდია

2015 წელიდან ირლანდიაში გზავნილის გაგზავნისას გამოიყენება შვიდნიშნა საფოსტო ინდექსი. გამონაკლისია მხოლოდ P.O. Box-ზე დამისამართებული გზავნილი.

Eason
80 Abbey Street Middle
DUBLIN 1
DO1 P8N3
IRELAND

ისრაელი

Mr G Kaul
27 Rue Yafo
91999 JERUSALEM
ISRAEL

იტალია

Sig. Giovanni Masci
via Garibaldi 27
47037 RIMINI RN
ITALY

კანადა

M. Jen Durand
150 Rue Nepeau App5
OTTAWA ON K1P 2P6
CANADA

ლუქსემბურგი

M. Jaques Muller
71 route de Longway
4750 PETANGE
LUXEMBOURG

მექსიკა

Mr Joaquim Cepeda
San Antonio Abad 120 – Piso 4
06820 CIUDAD DE MEXICO
MEXICO

ნორვეგია

Herr Hans Hansen
Svingen 22
9230 BEKKEHAUG
NORWAY

პოლონეთი

Mr Jan Kalinkowski
ul Cicha 5
62-806 KALISZ
POLAND

პორტუგალია

Senhor Carlos Manuel Pereira
Av das A'Augsa Livres
Monte Trigo
7220 PORTEL
PORTUGAL

Rosalina Silva
R Conde Redondo 80
1192 LISBOA CODEX
PORTUGAL

რუმინეთი

Mr Gheorghe Petraru
Bd Golescu 38
77113 BUCHAREST
ROMANIA

რუსეთი

Ivanova I.S.
Oulitsa Gagagin 7
103375 MOSCOW
RUSSIAN FEDERATION

საბერძნეთი

Mr George Latsis
Alkamenou 37
117 80 ATHENS
GREECE

საფრანგეთი

საფრანგეთის მიმართულებით გზავნილის გაგზავნისას, უმჯობესია თუკი ადრესატის გვარს მიუთითებთ დიდი ასოებით.

M. Robert MARIN
Rue de l'Eglise
Dunes
82340 AUVILLAR
FRANCE

Mme Marie PAGE
23 Rue de Grenell
75700 PARIS CEDEX
FRANCE

სერბეთი

Mr Stevan Raukovic
Palmoticeva 2
11001 BELGRADE
SERBIA

სლოვაკეთი

M Jan Kemr
Olsanka 18
820 01 BRATISLAVA 1
SLOVAK REPUBLIC

სლოვენია

Janez Vzorec
Poštna ulica 5
2250 PTUJ
SLOVENIA

უკრაინა

Mrs L Projivalsky
252001 KIEV
Prospect F Skaryna
UKRAINE

უნგრეთი

M. Horvath LASZLO
Budapest
Kossuth u.7
1055
HUNGARY

ფინეთი

Mr Asko Teirila
PO Box 511
39140 AKDENMAA
FINLAND

შვეიცარია

M. Andre Perret
Schanzenstrasse 7
3030 BERNE
SWITZERLAND

შვედეთი

Fru Inger Lilja
Vasavagen 3 4tr
582 20 LINKOPING
SWEDEN

ჩეხეთი

M. Miroslav Ondevejka
Fibichova 92
125 02 PRAGUE 3
CZECH REPUBLIC

ხორვატია

Ana Car
Ilica 25
41 000 ZAGREB
CROATIA

ჰოლანდია

Mr J van Dieten
Morsstr 111
2312 BK LEIDEN
THE NETHERLANDS